ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ს-19/01170603735-17

"18" 04 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, დ/დიღმის II მ/რ-დან ზემოთ მიმავალი გზის მარჯვნივ ტერიტორიაზე (საკ. კოდი № 01.10.08.006.180) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – № 2384850 14.01.2016წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი საბურთალო, დ/დიღმის II მ/რ-დან ზემოთ მიმავალი გზის მარჯვნივ ტერიტორიაზე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები. ტერიტორია კეთილმოსაწყობია. ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების გაბარიტები და ფანჯრებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი. შეცვლილია წყალშემკრები მილების რაოდენობა, წყალშემკრებ მილებს მონაცვლებული აქვს ადგილი და შეცვლილია წყალშემკრები მილების ფორმა. პროექტში არ არის ნაჩვენები მონოლითური და ბლოკის კედლები განსხვავებულ ფერში.

„1-4" ფასადზე: ±0.00 ნიშნულზე 1-2 მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი და შემცირებულია ბაქნის სიგრძე. ±0.00 ნიშნულიდან +3.300 ნიშნულის ჩათვლით შეცვლილია მოპირკეთების ფაქტურა. +3.300 ნიშნულის ქვევით აივნების ძირში გაუქმებულია რიგელები. +29.90 ნიშნულის ზევით შუშის მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია მილკვადრატის მოაჯირები და კაპიტალურ კედლებზე დამატებით მოწყობილია მილკვადრატის სახელურები. 1-2 მონაკვეთში გაუქმებულია ფრამუგა, ვიტრაჟებს მონაცვლებული აქვს ადგილი და შეცვლილია 2 ღერძისკენ მდებარე ფრამუგის ნახატი. 2-3 მონაკვეთში გაუქმებულია 3 ღერძისკენ მდებარე ფრამუგა. 3-4 მონაკვეთში ვიტრაჟებს მონაცვლებული აქვს ადგილი და 3 ღერძისკენ ვიტრაჟი მოსაყობია.

„4-1" ფასადზე: ±0.00 ნიშნულზე 4-3 მონაკვეთში გაუიქმებულია პანდუსი და ბაქანი. აღნიშნულ მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი და ნაწილობრივ მასალა. ±0.00 ნიშნულზე მეტალოპლასტმასის პროფილის ნაცვლად მოწყობილია ალუმინის ფანჯრები და კარი. 4-2 მონაკვეთში +3.300 ნიშნულზე აივნების ძირში გაუქმებულია რიგელები. 3 ღერძის მარჯვნივ +3.00 ნიშნულიდან 31.90 ნიშნულის ჩათვლით ფანჯრებს მონაცვლებული აქვს ადგილი 2 ღერძისკენ. +29.90 ნიშნულზე გაზრდილია ფანჯრის სიმაღლე. +9.90 ნიშნულზე 2 ღერძის მარცხნივ დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენა.

„ა-ვ" ფასადზე: +31.90 ნიშნულზე ა ღერძზე კაპიტალურ მოაჯირზე დამატებით მოწყობილია მილკვადრატის სახელურები.

„ვ-ა" ფასადზე: +31.90 ნიშნულზე ა ღერძზე კაპიტალურ მოაჯირზე დამატებით მოწყობილია მილკვადრატის სახელურები.

„გეგმების მიხედვით": -3.300 ნიშნულზე ა-გ 1-4 მონაკვეთში შემცირებულია კოლონების გაბარიტი. 2-3 მონაკვეთში გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა. დ მონაკვეთში შემცირებულია სეისმური ნაკერის სიგანე. დ-ვ 4-1 მონაკვეთში გაზრდილია რიგელების რაოდენობა და კოლონებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ადგილი. ±0.00 ნიშნულზე 2-3 მონაკვეთში გაზრდილია კიბის საფეხურების რაოდენობა. შეცვლილია კოლონების გაბარიტი. ვ-ვ ღერძზე მონოლითურ კედელში გაუქმებულია კოლონები. 3-4 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სამშენებლო ღობე. 2-3 მონაკვეთში +3.30 ნიშნულიდან +26.40 ნიშნულის ჩათვლით ვიტრაჟებს მონაცვლებული აქვს ადგილი. +26.400 ნიშნულზე 1-2 მონაკვეთში დუპლექსის პირველ დონეზე მოსაწყობია კიბე. 3-4 მონაკვეთში დუპლექსის პირველ დონეზე კიბეს მონაცვლებული აქვს ადგილი 4 ღერძისკენ, შეცვლილია კიბის კონფიგურაცია და მოსაწყობია მოაჯირი. +33.200 ნიშნულზე საკომუნიკაციო შახტებს მონაცვლებული აქვს ადგილი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მოქ. ფატიმა შეყლაშვილს, ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, დ/დიღმის II მ/რ-დან ზემოთ მიმავალი გზის მარჯვნივ ტერიტორიაზე (საკ. კოდი № 01.10.08.006.180) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალსართიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01170603735-17 01.03.2017წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01182633497**
თარიღი: **20/09/2018**
პინი: **3579**

ადრესატი: ირაკლი ნარმანია
პირადი ნომერი: 62001035797
მისამართი: ტაშკენტის შეს.7 ბ.11

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქ. თბილისის მუნციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/01182321476-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ: ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, დ/დიღმის II მ/რ-დან ზემოთ მიმავალი გზის მარჯვნივ ტერიტორიაზე (ნაკვეთი N6/35) (საკ. კოდი N01.10.08.006.180) მდებარე ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) გადამოწმებით დადგინდა, რომ „1-4“ ფასადზე „ა-ა“ ღერძის გარეთ 1-4 მონაკვეთში მოეწყო ბაქანი (გამოც გაუქმებულია პანდუსი). ამავე ფასადზე 3-4 მონაკვეთში „3“ ღერძისკენ მოეწყო ვიტრაჟი. „4-1“ ფასადზე +9,90 ნიშნულზე 2 ღერძის მარცხნივ დამატებით მოწყობილი სატელიტური ანტენა მოიხსნა. დემონტირდა ასევე 3-4 მონაკვეთში დამატებით მოწყობილი სამშენებლო ღობე. +26,400 ნიშნულზე 1-2 მონაკვეთში დუპლექსის პირველ დონეზე მოეწყო კიბე. 3-4 მონაკვეთში დუპლექსის კიბეზე მოეწყო მოაჯირი. სამსახურის 18.04.2017წ. Nბ-19/01170603735-17 ბრძანებაში მითითებული სხვა დარღვევები უცვლელია.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური-
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

0160
ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების
განვითარების სააგენტო
ჟ. შარტავას, 7